სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

20 მარტი 2024

N 21/2830

სს „რუსთავოილს"

მის: ქ. თბილისი, ტ. შევჩენკოს ქ. N1

ელ. ფოსტა: eurogas.ge@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვით ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 6 მარტის N2502 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება სს „რუსთავოილის" ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2024 წლის 5 თებერვლის N 21/971 წერილით განსაზღვრული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 9) მითითებულია ინფორმაცია **„6 ერთეული პროდუქციის შესანახი რეზერვუარის შესახებ",** თუმცა დაზუსტებული არ არის კონკრეტულად რა სახის პროდუქტისთვისაა განკუთვნილი აღნიშნული რეზერვუარები;
- shp ფაილები შეიცავს ხარვეზებს და მასზე დატანილი ინფორმაცია არ იდენტიფიცირება. shp ფაილები წარმოდგენილი უნდა იყოს „WGS 1984 - UTM Zone 38N" პროექციით;
- სკოპინგის ანგარიშში ურთიერთშეუსაბამო ინფორმაციაა წარმოდგენილი საწარმოს ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურის მოცულობებისა და რაოდენობების შესახებ. მაგალითად, მე-9 გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მაზუთის რეზერვუარების რაოდენობა შეადგენს 2 ერთეულს, ხოლო მე-10 გვერდზე მითითებულია, რომ მაზუთის რეზერვუარების რაოდენობა 3 ერთეულია, ასევე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა წარმოდგენილი თხევადი აირის სარეზერვუარო პარკის საერთო მოცულობის შესახებ;

გარდა ამისა, არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ვინაიდან ობიექტზე დაგეგმილია საწვავად ნარჩენი ზეთისა და მაზუთის გამოყენება, წარმოდგენილი უნდა იყოს ნარჩენების კოდ(ებ)ი, დასახელებები და რაოდენობა, ასევე ნარჩენების ოპერაციის კოდი;
- დაზუსტებას საჭიროებს 5.1 ნახაზზე მოცემული შლამსაცავის შესახებ ინფორმაცია, რადგან ნახაზის ექსპლიკაციაში მითითებულია შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" ნავთობპროდუქტების საცავი";

- 7.2 თავში, რომელიც ეხება დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივებს, განხილულია მხოლოდ ბიტუმსაცავების შესახებ ინფორმაცია და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სხვა საქმიანობების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებული შემდეგი ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას: „ბიტუმსაცავი განთავსებული იქნება დაახლოებით 2000 $м^3$ მოცულობის ორმო-ბუნკერში, რა დროსაც ბიტუმსაცავების საერთო მოცულობა ტოლია 390 $м^3$-ის, ავარიული დაღვრის შემთხვევაში ბიტუმის განვრცობას ტერიტორიაზე ადგილი არ ექნება“.
- დანართი 3.2-ზე მოცემულ ცხრილში აღნიშნულია სახანძრო წყლის რეზერვუარი 2000 $м^3$ მოცულობით, თუმცა სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე განთავსებულია 400 $м^3$ მოცულობის მქონე სახანძრო წყლის რეზერვუარი, რომლის შესახებ ინფორმაცია მითითებული არ არის ცხრილში;
- **სკოპინგის ანგარიში სტრუქტურულად გაუმართავია, ასევე მოიცავს ტექნიკურ ხარვეზებს, ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის წინადადებებს, ასევე დოკუმენტის სტრუქტურა არალოგიკური და ბუნდოვანია, რაც არ იძლევა დოკუმენტის სათანადოდ შეფასების საშუალებას. სკოპინგის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ აღქმადი იყოს მასში მითითებული ინფორმაცია.**

სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების/მოთხოვნების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ. ვერსია

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო